№1777 2015 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი

შპს „TCF GEORGIA“-ს საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით
გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დაშვებულ იქნეს გამონაკლისი სს „ბანკი ქართუს“ მიერ შპს „TCF GEORGIA“-სთვის (ს/კ: 446954494) სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში გასაცემი დამატებით ახალი, პარალელური სესხის თანადაფინანსებაზე.

2. დაევალოს ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს, განახორციელოს სს „ბანკი ქართუს“ მიერ შპს „TCF GEORGIA“-სთვის გასაცემი სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება შემდეგი პირობებით:

ა) სესხის თანხა – 1 070 000 (ერთი მილიონ სამოცდაათი ათასი) აშშ დოლარი;

ბ) სესხის მიზნობრიობა: რკინიგზის ჩიხის მშენებლობა, კონცენტრატის საწარმოსთვის ლაბორატორიის მოწყობა, ციტრუსის დამხარისხებელი ხაზის შეძენა და სამშენებლო სამუშაოები;

გ) სესხის ვადა – 24 თვე;

დ) სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი – 11%;

ე) თანადაფინანსების წლიური საპროცენტო განაკვეთი – 10%;

ვ) საპროცენტო თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა – 214 000 (ორას თოთხმეტი ათასი) აშშ დოლარი.

3. შპს „TCF GEORGIA“-სთვის დამატებითი სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების სხვა პირობები განისაზღვროს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ პირობების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**